ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ.

1906 წ.

14 ნოემბერი

ახალი დროება

ხუთშაბათი

№ 1

ყოველკვირეული გაზეთი

№ 1

რედაქციის ადრესი:

თბილისი, მიხეილის პროსპექტი, სახ. № 102.

რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 12—2 საათამდე.

კანტორა ხელის-მომწერთათვის ღიაა ყოველ დღე დილის 9 საათიდან 2 საათამდედა სალამოს 5-დან 7-დე.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1) რედაქციისაგან. 2) კლასთა ბრძოლა. 3) პროფესიონალური მოძრაობა პეტერბურგში. 4) კაპიტალისტები ირაზმებიან. 5) ფელეტონი სოციალისტების ბიოგრაფია: I. კარლ მარქსი და II. ფრიდრიხ ენგელსი. 6) მუშათა მოძრაობა და კავშირები: I. თბილისი; II. რუსეთი. 7) საზღვარ-გარეთი. 8) სტატისტიკა. 9) მცირე შენიშვნა პატარა შენიშვნაზე.

ყოველკვირეული გაზეთი

„ახალი დროება“-

გამოვა ორშაბათობით.

გაზეთის ფასი ხელის-მომწერთათვის:

თბილისში: ერთი წლით	5 მანეთი,		
„ ნახევარი წლით	2	„ 50	კაპ.
„ სამი თვით	1	„ 25	„
„ ერთი თვით	—	40	„
თბილისის გარეთ:			
„ წლით	6	მან.	
„ ნახევარი წლით	3	„	
„ სამი თვით	1	„ 50	კაპ.
„ ერთი თვით	—	50	„
საზღვარ-გარეთ:			
„ ერთი წლით	8	მან.	
„ ნახევარი წლით	4	„	
„ სამი თვით	2	„	
„ ერთი თვით	—	80	კაპ.

ცალკე ნომერი ღირს ორი შაური.

ახალი დროების

მუდმივ ხელის-მომწერლებს.

დღეიდან გაზ. ,,ახალი დროება'' გამოდის ახალი რედაქციით. ჩემი მუდმივნი ხელის-მომწერნი, რომელთაც არ ინებეს შემოტანილ ფულის უკან დაბრუნება, ჩემის შეთანხმებით ახალ რედაქციასთან, მიიღებენ შემდეგ №№ გაზეთისას.

ლ. ბახტაძე.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ.*)

ერთი-ორია მთელ მსოფლიო ისტორიაში ისეთი ხანა, როგორიცაა დღეს რუსეთში. ეს დრო—დიდი და უდიდესი რევოლიუციის დროა! რევოლიუციამ ააფორიაქა მთელი უზარმაზარი რუსეთი: ბალტიის მხარედან დაწყებული მანჯურიამდე, თეთრი ზღვის კიდიდან ინდოეთის საზღვრამდე...

არამც თუ მარტო რუსეთია ახლა აფორიაქებული! ჩვენმა დიდმა რევოლიუციამ თავისი მძლავრი გავლენა იქონია სპარსეთზე, ოსმალეთზე, მთელ ევროპაზე, მთელ მსოფლიოზე...

ეს რევოლიუცია დიდებულია არამც თუ მარტო თავისი პოლიტიკური ხასიათით, არამედ კიდევ უფრო მეტათ თავისი სოციალ-ეკონომიური შინაარსით. ეს შინაარსიც, სხვათა შორის, იმაში მდგომარეობს, რომ მუშათა კლასსმა, პროლეტარიატმა მედგარი და შეერთებული ბრძოლა გამოუცხადა ყველა ხაზეინებს, ყველა კაპიტალისტებს მათი დავლის—**ზედ-მეტი ღირებულების შესამცირებლათ სამუშაო ხელფასის გადიდებით და სამუშაო დღის 9—8 საათამდე შემოკლებით.**

უეჭველია, როგორც ევროპასა და ამერიკაში, ისე რუსეთში კაპიტალისტებიც, ერთ დიდ კლასად დარაზმული, შეუპოვარ ბრძოლას გაუწევენ პროლეტარიატს, მუშათა მთელ კლასს მისს მისწრაფებაში: **დღევანდელ ეკონომიური და პოლიტიკური პირობების გაუმჯობესებით მოიპოვოს ძალა სოციალიზმის განსახორციელებლათ**, ესე იგი, მოისპოს წოდებები, კლასები, როგორც კაპიტალისტები, ხაზეინები, ისე პროლეტარები, დაქირავებულნი—და აღსდგეს ადამიანი, კაცი დაბადებიდანვე სრულუფლებიანი—ისარგებლოს მზის სხივებითაც და თავისი კულტურის გაუმჯობესებითაც ერთგვარ და თანასწორად...

ამ ბრძოლას პროლეტარიატისას სჭირია თავისი, გარეშე პარტიულისა, პროფესიონალური ორგანიზაცია, რომელმაც მეტი შეგნება, მეტი ცოდნა და გამოცდილება უნდა შესძინოს მუშათა უმრავლესობას. პროფესიონალური ორგანიზაციები, კავშირები უნდა დაწესდეს თითოეულ ქალაქში წარმოების დარგ-დარგათ; შემდეგ მათი გაერთიანება საერთო დაწესებულებაში, მერმე საოლქო კავშირი, ბოლოს მთელი რუსეთის პროფესიონალთა კავშირების გაერთიანება, ამისათვის ადგილობრივი კავშირების კონფერენციები, სიეზდები, აგრეთვე საოლქო კონფერენ-

*) სიტყვების ახსნა იხილე დამატებით ფურცელში.

რედაქცია.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ციები და სიეზდები და ბოლოს მთელი რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლების სიეზდი – აი, პარტიის გარეშე, რაა საჭირო დღეს,—რა ზედუნდა ზრუნავდეს შეგნებული ნაწილი მუშათა კლასისა!

კავშირების ორგანიზაცია, უეჭველია, უპარტიო, ნეიტრალურია ორგანიზაციულათ და ფინანსიურ მხრივ, ესე იგი, ცალკე დამოუკიდებელი ორგანიზაცია და, მაშასადამე, ცალკე თავისი კასსა აქვს. მარა, ეს სრულებით იმას-კი არ ნიშნავს, რომ პროფესიონალური კავშირები რომელიმე პოლიტიკურ პარტიის (ან პარტიების) გავლენას აცდეს, გავლენას, რასაკვირველია, იდეიურს ეჭვი არაა, პროლეტარიატის პროფესიონალური კავშირების იდეიური ხელმძღვანელი ის პარტია იქნება, რომელიც ნამდვილი პროლეტარულია და, როგორც წარსულში, ისე დღესაც სხვა პარტიებზე მეტათ თავგამოდებით მუშაობს პროლეტარების მასსაში, შეაქვს მასში მეტი კლასსობრივი შეგნება, ორგანიზაციებათ აწყობს მათ და მომავალს, ბრწყინვალე მომავალს – სოციალიზმის სამეფოს დამკვიდრებას უმზადებს მთელ კაცობრიობას. ჩვენი გზეთიც ეცდება, ემსახუროს ამ მიზანს პროფესიონალურ-ეკონომიური მოძრაობისა და კავშირების საკითხების გარკვევით...

კლასთა ბრძოლა.

„ბურჟუაზიის კავშირს მხოლოთ
პროლეტრიატის კავშირი შეარყევს“.
კ. მარქსი.

მეტისმეტი რთულია დღევანდელი ცხოვრება! ის თავით ბოლომდე აჭრელებულია სხვა-და-სხვა კლასებით და ჯგუფებით: სხვილი, საშუალო და წვრილი ბურჟუაზია; სხვილი, საშუალო და წვრილი ფეოდალები; ქარგლები, შავი მუშები და ფაბრიკა-ზავოდის დახელოვნებული მუშები; სხვილი, საშუალო და წვრილი სამღვდელოება; სხვილი, საშუალო და წვრილი ბიუროკრატია; მრავალფეროვანი ინტელიგენცია და სხვა ამგვარი ჯგუფები, აი რა ჭრელ სურათს წარმოადგენს ჩვენი ცხოვრება! დიახ, რთულია დღევანდელი ცხოვრება...

მაგრამ, ცხადია აგრეთვე ის, რომ რაც უფრო დრო მიდის, მით უფრო ნათლათ ირკვევა ამ რთულ ცხოვრებაში ორი მთავარი მიდრეკილება, მით უფრო მკაცრათ იყოფა ეს რთული ცხოვრება ორ მოწინააღმდეგ ბანაკათ კაპიტალისტების და ბანაკათ პროლეტარების. იანვრის ეკონომიურმა გაფიცვებმა (1905 წ.) ნათლათ და გვანახვა, რომ რუსეთი, მართლაც, ორ ბანაკათ იყოფა. ნოემბრის გაფიცვებმა პეტერბურგში (1905 წ.) და ივნისი-ივლისის გაფიცვებმა მთელ რუსეთში (1906 წ.) ერთმანეთს შეაჯახა ორი ბანაკის ორი მეთაური და ამით სამუდამოთ ნათელ ჰყო კლასთა დღევანდელი წინააღმდეგობა. მას შემდეგ კაპიტალისტების ბანაკს აღარ დასძინებია, აქ ცხარე და დაუდგრომელი მზადებაა: სდგება კაპიტალისტების ადგილობრივი კავშირები, ადგილობრივი კავშირები ერთდება საოლქო კავშირებში—საოლქო კავშირები მთელი რუსეთის კავშირათ; არსდება კასები და ორგანოები, იწვევენ მთელი რუსეთის კაპიტალისტთა სიეზდებსა და კონფერენციებს...

ცხადია, კაპიტალისტები ცალკე კლასათ ირაზმებიან, პროლეტარიატის ასალაგმავათ.

მეორე მხრივ, არ სძინავს არც პროლეტარების ბანაკს, აქაც გახურებული მზადებაა მომავალი ბრძოლისათვის: მიუხედავათ რეაქციის დევნისა, აქაც არსდება ადგილობრივი პროფესიონალური კავშირები, ადგილობრივი კავშირები აქაც საოლქო კავშირებათ ერთდება, არსდება პროფესიონალური კასები, იზრდება პროფესიონალური პრესა, იწვევენ მთელი რუსეთის მუშათა კავშირების სიეზდებსა და კონფერენციებს...

ცხადია, პროლეტარებიც ცალკე კლასათ ირაზმებიან, ექსპლოატაციის ასალაგმავათ.

დრო იყო, როცა ცხოვრებაში „სიწყნარე და მყუდროება“ მეფობდა. მაშინ არც ეს კლასები ჩანდა მათი კლასიური ორგანიზაციებით. რა თქმა უნდა, ბრძოლა მაშინაც წარმოებდა, მაგრამ ამ ბრძოლას ადგილობრივი ხასიათი ქონდა, და არა საერთო-კლასიური: კაპიტალისტებს არ ქონდათ თავისი კავშირები და თვითეული მათგანი იძულებული იყო საკუთარი ძალღონით დახმარებოდა „თავის“ მუშებს; არ ქონდათ ამისთანა კავშირები არც მუშებს და, მაშასადამე, თვითეული ზავოდის მუშები იძულებული იყვენ თავიანთ ძალღონეს დანდობოდენ. მართალია, ადგილობრივი სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობას უწევდნენ მუშათა ეკონომიურ ბრძოლას, მაგრამ ყველა დაგვეთანხმება, რომ ეს ხელმძღვანელობა სუსტი და შემთხვევითი იყო: სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციები პარტიულ საქმეებსაც ვერ ასდიოდენ.

იანვრის ეკონომიურმა გაფიცვებმა კი სულ სხვანაირათ შეატრიალა საქმე. კაპიტალისტები დაფაცურდენ და ადგილობრივი კავშირების შედგენა დაიწყეს: პეტერბურგის, მოსკოვის, ვარშავის, რიგის და სხვა ქალაქების კაპიტალისტური კავშირები იანვრის გაფიცვებმა გამოიწვია. რაც შეეხება ნავთის, შავი ქვის, ქვანახშირის და შაქრის წარმოების კაპიტალისტებს, ამათ თავიანთი ძველი და „მშვიდობიანი“ კავშირები „ბრძოლის“ კავშირებათ გადააქციეს და პოზიციების გამაგრებას შეუდგენ. მაგრამ, გაფთრებულმა კაპიტალისტებმა ეს არ იკმარეს. მათ საერთო-სარუსეთო კავშირის შედგენა მოინდომეს და, აი, 1905 წლის მარტში, მოროზოვის თაოსნობით, საერთო სიეზდზე შეიკრიბენ მოსკოვში. ეს პირველი სიეზდი იყო მთელი რუსეთის კაპიტალისტებისა. აქ მათ ხელშეკრულობა დასდეს, რომლის ძალითაც ისინი ვალდებული ხდებიან უერთმანეთოთ აღარ დაუთმონ მუშებს და „უკიდურეს“ შემთხვევაში **ლოკაუტი** *) გამოუცხადონ მათ. აქედან იწყება კაპიტალისტების სასტიკი ბრძოლა პროლეტარებთან. აქედან იწყება ხანა რუსეთის დიდი ლოკაუტებისა. სერიოზულ ბრძოლას სერიოზული კავშირი უნდა, და, აი, კაპიტალისტებმა გადასჭრეს,—ერთხელ კიდევ შეკრებილიყვენ მჭიდრო კავშირის შესადგენათ. ამგვარათ, მოსკოვში, სამი თვის მერე პირველი სიეზდიდან, (1905 წლის ივლისში) მოწვეულ იქმნა მთელი

---

*) ლ ო კ ა უ ტ ი—ეს ხაზეინების გაფიცვაა, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ხაზეინები განზრახ კეტავენ ქარხნებს მუშების წელში გასატეხათ და მათი მოთხოვნების გასაბათილებლათ.

რუსეთის კაპიტალისტთა მეორე სიეზდი. აქ მათ ერთხელ კიდევ განიმეორეს პირველი სიეზდის რეზოლიუციები, ერთხელ კიდევ ალიარეს ლოკაუტის საჭიროება და აირჩიეს ბიურო, რომელსაც წესდება უნდა შეემუშავებინა და ახალი სიეზდის მოწვევაზე ეზრუნა. ამავე დროს სიეზდების რეზოლიუციები სისრულეში მოდიოდა. ფაქტებმა დაგვანახვა, რომ კაპიტალისტები ზედმიწევნით ასრულებენ ამ რეზოლიუციებს. თუ გაიხსენებთ რიგის, ვარშავის, ადესის, მოსკოვის და სხვა დიდი ქალაქების კაპიტალისტთა ლოკაუტებს, თუ გაიხსენებთ ნოემბრის დღეებს პეტერბურგში, როცა 72 კაპიტალისტი სასტიკი ლოკაუტით დაემუქრა 200,000 პეტერბურგელ მუშებს,—ადვილათ მიხვდებით, თუ რა დიდ ძალას წარმოადგენს კაპიტალისტების საერთო-სარუსეთო კავშირი და როგორ ზედმიწევნით ასრულებენ ისინი ამ კავშირის დადგენილებას. შემდეგ, მეორე სიეზდის მერე, ერთი სიეზდი კიდევ მოახდინეს კაპიტალისტებმა (1906 წლის იანვარში) და, დაბოლოს, ამ წლის აპრილში უკვე დამფუძნებელი სიეზდი მოხდა მთელი რუსეთის კაპიტალისტებისა, სადაც საერთო წესდება მიიღეს და ცენტრალური ბიურო აირჩიეს. როგორც გაზეთებმა გვაცნობეს ეს წესდება უკვე დაუმტკიცებია მთავრობას.

ამგვარათ ეჭვს გარეშეა, რომ დღეს უკვე ცალკე კლასათაა დარაზმული რუსეთის სხვილი ბურჟუაზია, მას აქვს თავისი ადგილობრივი, საოლქო და ცენტრალური ორგანიზაციები და შეუძლია ერთ გეგმაზე აამოძრაოს მთელი რუსეთის კაპიტალისტები.

ხელფასის დაწევა, სამუშაო დღის გადიდება, პროლეტარიატის წელში გატეხა და მისი ორგანიზაციების დანგრევა,—აი, როგორია მიზანი კაპიტალისტთა საერთო კავშირისა.

ამავე დროს იზრდებოდა და ვითარდებოდა მუშათა პროფესიონალური მოძრაობა. იანვრის ეკონომიურმა გაფიცვებმა (1906 წ.) აქაც თავისი გავლენა იქონია. მოძრაობამ მასიური ხასიათი მიიღო, მისი მოთხოვნილებანი გაფართოვდა და თანდათან გამოირკვა, რომ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს ვერ შეუძლიანთ ერთ და იმავე დროს პარტიულ საქმეებსაც გაუძღვენ და პროფესიონალურსაც. საჭირო იყო ერთგვარი შრომის განაწილება პარტიასა და პროფესიონალურ კავშირებს შორის, საჭირო იყო პარტიულ საქმეებს პარტიული ორგანიზაციები ჩასდგომოდა სათავეში და პროფესიონალურს—პროფესიონალური კავშირები. და, აი, დაიწყო კავშირების შედგენა. მოსკოვში, პეტერბურგში, ვარშავაში, ადესაში, რიგაში, ხარკოვში, თბილისში—ყველგან კავშირები არსდებოდა. მართალია, რეაქცია ხელს უშლიდა, მაგრამ მოძრაობის საჭიროებას მაინც თავისი გაჰქონდა და კავშირები მრავლდებოდა. ჩქარა ადგილობრივ კავშირებს საოლქო კავშირებიც მოჰყვა და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ წარსული წლის სექტემბერში მოწვეულ იქმნა მთელი რუსეთის კავშირთა საერთო კონფერენცია. ეს პირველი კონფერენცია იყო მუშათა კავშირებისა. ამ კონფერენციას, სხვათა შორის, ის ნაყოფი მოჰყვა, რომ მან ერთმანეთს დაუახლოვა სხვა-და-სხვა ქალაქების კავშირები და ბოლოს ცენტრალური ბიურო აირჩია, რომელსაც ნიადაგი უნდა მოემზადებინა კავშირების საერთო სიეზდისთვის. დადგა ოქტომბრის დღეები,—და ერთი ორათ გაძლიერდა პროფესიონალური კავშირები. ადგილობრივი და, ბოლოს, საოლქო კავშირები დღითი-დღე იზრდებოდა. მართალია, „დეკემბრის დამარცხებამ“ შესამჩნევათ შეაფერხა კავშირების საქმე, მაგრამ შემდეგ ისევ წელში გაიმართა პროფესიონალური მოძრაობა და საქმე იქამდე გაიჩარხა, რომ ამ წლის თებერვალში მოწვეულ იქმნა კავშირების მეორე კონფერენცია, გაცილებით უფრო ფართე და სრული, ვიდრე პირველი კონფერენცია. კონფერენციამ საჭიროთ სცნა ადგილობრივი, საოლქო და საერთო-სარუსეთო ცენტრები, აირჩია „ორგანიზაციული კომისია“ მომავალი სიეზდის მოსაწვევათ და შესაფერი რეზოლიუციები გამოიტანა პროფესიონალური მოძრაობის საჭირბოროტო კითხვებზე.

ამგვარათ, ეჭვს გარეშეა, რომ, მიუხედავათ რეაქციის მძვინვარებისა, პროლეტარიატიც ცალკე კლასათ ირაზმება, ის დაუდგრომლათ ამაგრებს თავის ადგილობრივ, საოლქო და ცენტრალურ ორგანიზაციებს და დაუდგრომლათვე ცდილობს კაპიტალისტების წინააღმდეგ აამხედროს თავისი ურიცხვი მოძმენი.

ხელფასის მომატება, სამუშაო დღის შემოკლება, შრომის პირობების გაუმჯობესება, ექსპლუატაციის ალაგმვა და კაპიტალისტური კავშირების დაუძლურება,—აი როგორია მიზანი მუშათა პროფესიონალური კავშირებისა

დიახ, ცხოვრება ორ დიდ ბანაკათ იყოფა, ორივე ბანაკი ცალკე კლასებათ ირაზმება, მათ შორის ატეხილი კლასიური ბრძოლა დღითი-დღე ღრმავდება და ძლიერდება და ამ ორ ბანაკს გარშემო იყრის თავს სხვა დანარჩენი ჯგუფები.

მარქსი ამბობდა, რომ ყოველი კლასიური ბრძოლა არის ბრძოლა პოლიტიკური. ეს კი იმასა ნიშნავს, რომ თუ დღეს პროლეტარები და კაპიტალისტები ეკონომიურათ ებრძვიან ერთმანეთს, ხვალ ისინი იძულებული იქნებიან პოლიტიკურათაც იბრძოლონ და ასე, ორნაირი ბრძოლით დაიცვან თავიანთი კლასიური ინტერესები. კაპიტალისტებს აქვთ თავიანთი კერძო პროფესიონალური ინტერესები. სწორეთ ამ ინტერესების დასაკმაყოფილათ არსებობს მათი ეკონომიური ორგანიზაციები. მაგრამ, კერძო პროფესიონალურ ინტერესებს გარდა, მათ აქვთ კიდევ საერთო-კლასიური ინტერესები, რომლებიც კაპიტალიზმის გამაგრებაში გამოიხატება. სწორეთ ამ საერთო ინტერესებისთვის ესაჭიროება მათ პოლიტიკური ბრძოლა და პოლიტიკური პარტია. რუსეთის კაპიტალისტებმა ძალიან უბრალოთ გადასჭრეს ეს კითხვა: მათ ნახეს, რომ ერთათ ერთი პარტია, რომელიც „პირდაპირ და უშიშრათ“ იცავს მათს ინტერესებს—ეს **ოქტომბრისტების პარტიაა**, ამიტომ მათ გადასჭრეს,—ამ პარტიის გარშემო მოეყარათ თავი და მის იდეიურ ხელმძღვანელობას დამორჩილებოდენ. მას შემდეგ ამ პარტიის იდეიური მეთაურობით ეწევიან კაპიტალისტები თავიანთ პოლიტიკურ ბრძოლას, მათი შემწეობით ახდენენ გავლენას დღევანდელ მთავრობაზე (რომელიც მუშათა კავშირებს ხურავს და, სამაგიეროთ, გაფაციცებით ამტკიცებს კაპიტალისტების კავშირებს),

მისი კანდიდატები გაჰყავთ სათათბიროში და სხვა-და-სხვა ამისთანები.

ამ გვარათ, ეკონომიური ბრძოლა კავშირების შემწეობით, საერთო პოლიტიკური ბრძოლა ოქტომბრისტთა პარტიის იდეიური ხელმძღვანელობით,—აი რა სახეს იღებს დღეს სხვილი ბურჟუაზიის კლასიური ბრძოლა.

მეორე მხრივ, ასეთივე მოვლენა ხდება დღეს პროლეტარიატის კლასიურ მოძრაობაში. პროლეტართა პროფესიონალური ინტერესებისთვის პროფესიონალური კავშირები ეწყობა, რომლებიც ხელფასის მომატებისა და სამუშაო დღის შემცირებისთვის იბრძვიან. მაგრამ, პროფესიონალურ ინტერესებს გარდა, მათ აქვთ კიდევ საერთო კლასიური ინტერესები, რომლებიც სოციალისტურ რევოლიუციაში და სოციალიზმის დამყარებაში გამოიხატება. სოციალისტური რევოლიუციის მოხდენა-კი შეუძლებელია იქამდე, სანამ პოლიტიკურათ არ გაბატონდებოდა პროლეტარიატი, როგორც ერთი და განუყოფელი კლასი. აი, სწორეთ, აქაა საჭირო პროლეტარიატისთვის პოლიტიკური ბრძოლა და პოლიტიკური პარტია, რომელიც იდეიურ ხელმძღვანელობას გაუწევს მის პოლიტიკურ მოძრაობას. რა თქმა უნდა, მუშათა კავშირები მეტ ნაწილათ უპარტიოა და ნეიტრალური, მაგრამ ეს მხოლოთ იმასა ნიშნავს, რომ ისინი დამოუკიდებელნი არიან პარტიისგან მარტო ფინანსიურათ და ორგანიზაციურათ, ე. ი. მათ აქვთ საკუთარი კასები, აქვთ საკუთარი ხელმძღვანელი ორგანოები, ახდენენ საკუთარ სიეზდებს და ფორმალურათ ვალდებული არ არიან დაემორჩილონ პოლიტიკური პარტიების გადაწყვეტილებას. არც მეტი, არც ნაკლები. რაც შეეხება **იდეიურ** დამოკიდებულებას ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიისგან, ასეთი დამოკიდებულება აუცილებლათ უნდა არსებობდეს, და არც შეიძლება არ არსებობდეს, სხვა არა იყვეს რა, იმიტომ მაინც, რომ კავშირებში შედიან პარტიის ყველა წევრები, რომლებიც აუცილებლათ შეიტანენ იქ თავიანთ პოლიტიკურ რწმენებს. ცხადია, თუ პროლეტარიატი ვერ ასცდება პოლიტიკურ ბრძოლას, ის ვერ ასცდება ვერც ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის იდეიურ ხელმძღვანელობას. უფრო მეტი. ის თითონვე უნდა ეძებდეს ისეთ პარტიას, რომელიც ღირსეულათ წაუძღვება მის კავშირებს „აღთქმული ქვეყანისკენ“, სოციალიზმისკენ. აი, აქ უნდა მოიქცეს პროლეტარიატი გულხმიერათ და წინდახედულათ. მან გულდასმით უნდა გადაათვალიეროს პოლიტიკური პარტიების იდეიური ავლადიდება და თავისუფლათ უნდა გაჰყვეს ისეთი პარტიის იდეიურ ხელმძღვანელობას, რომელიც მამაცათ და დაურიდებლათ დაიცავს მის კლასიურ ინტერესებს, მაღლა დაიჭერს პროლეტარიატის წითელს დროშას და თამამათ გაუძღვება მას პროლეტარიატის პოლიტიკურ გაბატონებისკენ, სოციალისტური რევოლიუციისკენ.

დღემდის ასეთ როლს რუსეთის **სოც.-დემ. მუშათა პარტია** ასრულებს და, მაშასადამე, პროფესიონალური კავშირების მოვალეობაა მის იდეიურ ხელმძღვანელობას გაჰყვენ. ეს ასეც ხდება, როგორც ვიცით.

ამ გვარათ, ეკონომიური შეჯახებანი პროფესიონალური კავშირების შემწეობით; პოლიტიკური იერიშები სოც.-დემოკრატიის იდეიური ხელმძღვანელობით,—აი რა სახე მიიღო დღეს პროლეტარიატის კლასიურმა ბრძოლამ.

ეჭვი არ არის, რომ ერთხელ ატეხილი კლასია ბრძოლა, რაც უფრო დრო გავა, მით უფრო ძალიან გახურდება. პროლეტარიატის მოვალეობაა,—წესრიგი და ორგანიზაციური სული შეიტანოს თავის ბრძოლაში. ამისთვის კი საჭიროა კავშირების გაძლიერება და მათი ერთმანეთზე გადაჯაჭვა, რასაც დიდ სამსახურს გაუწევდა მთელ რუსეთის კავშირთა საერთო სიეზდი. „უპარტიო სიეზდი“ კი რა,—პროფესიონალურ კავშირთა სიეზდია დღეს საჭირო, რომ პროლეტარიატი ერთ და განუყოფელ კლასათ დაირაზმოს. ამავე დროს პროლეტარიატი ყოველ ღონისძიებით უნდა ცდილობდეს—გაამაგროს და გააძლიეროს ის პარტია, რომელიც იდეიურ-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას გაუწევს მის კლასიურ ბრძოლას.

აი, რა გზით უნდა იაროს პროლეტარიატის ბრძოლამ.

კო...

პროფესიონალური მოძრაობა პეტერბურგში.

ვისაც ოკტომბრის დღეებში პეტერბურგის გაზეთებისათვის თვალი უდევნებია, იმას ეხსომება, რომ ეს თავისუფლების მოკლე ხანა, სხვათა შორის, პროფესიონალურ მოძრაობის აყვავების ხანასაც წარმოადგენს. თითქმის ყოველ დღე რომელიმე ახალი პროფესიონალური კავშირი არსდებოდა. უმაღლეს სასწავლებლების შენობებში განუწყვეტელი კრებები იმართებოდა, რომლებზედაც რომელიმე პროფესიის მუშა უბირი ენით თავის მძიმე მდგომარეობას აცნობდა უცნობ ამხანაგებს. აქ მოსულიყო მუშათა მასსის სულ დაბალი წრეების წარმომადგენლები, რომლებსაც პირველათ ესმოდა თავისუფალი პროლეტარული სიტყვა; ეს სიტყვა მისს საკუთარ ჭირვარამს ეხებოდა და თან მისთვის გაუგებრათ და ბუნდოვანათ რაღაც უკეთეს მომავალს აღუთქვამდა.

რევოლიუციონური საქმის ციებ-ცხელებაში, რომელსაც მაშინ მთელი რუსეთი განიცდიდა, პროფესიონალური კავშირები დიდს, მხურვალე მონაწილეობას იღებდენ: მათ შესძრეს მუშათა მასის აქამომდე კლასსიურათ მძინარე ელემენტები, მოკლე ხანში გაარევოლიუციონერეს მათი შეგნება და ამ ნაირათ რევოლიუციის რაზმს უთვალავი ნორჩი ძალები შეჰმატეს.

როგორ შეასრულეს ასეთი მძიმე დანიშნულება ორი დღის დაბადებულმა ორგანიზაციებმა? საქმე იმაშია, რომ პროფესიონალური კავშირები მხოლოდ ახალი, უკეთესი ფორმა იყო პეტერბურგელ მუშათა ეკონომიური ბრძოლისა, რომელიც პეტერბურგელმა მუშებმა დიდი ხანია რაც დაიწყეს. შორს რომ არ გავყვეთ,—ეკონომიური ბრძოლა ფართო ხასიათს იღებს 1896-97 წლებში.—ამ წლებში მოხდა შესანიშნავი გაფიცვები, რომლითაც რუსეთის პროლეტარიატმა პირველათ აღნიშნა თავისი კლასსიური გამოღვიძება, და მთელი ქვეყნის ყურადღება მიიქცია. მთავრობამაც პირველათ მაშინ იგრძნო შიში რუსეთის პროლეტარიატის წინაშე და მასთან გასასწორებლათ თადარიგს შეუდგა. ყოველ შემთხვევაში მაშინ მთავრობა იძულებული შეიქნა,—გამოეცა 2-ივნისის 1897

წლის ცნობილი კანონი 11-საათიან სამუშაო დღის შესახებ...

ძლევამოსილი გაფიცვა ყველგან პროფესიონალურ ორიგანიზაციის აკვანი ყოფილა; პეტერბურგშიაც ესე მოხდა; გამარჯვებით დაბოლოვებულმა გაფიცვამ პირველათ დაანახვა მუშებს თავისი ძალა—ძალა კავშირის და სოლიდარობისა, და სამუდამოთ კაპიტალისტებთან ბრძოლის გზაზე შეაყენა. მუშების ენერგია ამ დღიდან მუდამ დუღილში იყო და გამოსავალს ეძებდა.

მაშინ რომ პოლიტიკურათ თავისუფალი პირობები ყოფილიყო, პროფესიონალური მოძრაობა ისეთსავე მოარულათ გადაიქცეოდა, როგორც ოქტომბრის დღეებში. მაგრამ თვითმპყრობელობა ჯერ კიდევ სრულს თავის ძალაში იყო და ყოველ ნასახს მასსიურ ფართო მოძრაობისას შეუბრალებლათ სრესდა. ეს, ერთი მხრივ, მოძრაობას მწვავე პოლიტიკურ ფორმას აძლევდა, მეორე მხრივ-კი,—მას ვიწრო არა-ლეგალურ ჩარჩოებში აყენებდა, რომლებშიაც ფართო პროფესიონალური მოძრაობა ვერ იხეირებდა. მაგრამ, თავისავე საუბედუროთ, მთავრობამ მარტო ამ გამანადგურებელ მოქმედებაზე ვერ დაამყარა გული და შემოქმედებაც იწყო. პოლიციამ „სოციალიზმს“ მისცა თავი! მუშათა მოძრაობა იზრდებოდა, იზრდებოდა მისი ენერგია და პოლიციურ სახელმწიფოსმიერ შექმნილ ჩარჩოებს შიგნიდან გარეთ აწვებოდა. ყველა გრძნობდა, რომ ამ მიწოლას პოლიციური ზომები ვერ დაიჭერდენ.. და თვითმპყრობელობის ზოგიერთ მოსამსახურის თავში დაიბადა უბედური აზრი: ეგებ შეეიძლოთ პროლეტარიატის „მოჭკვიანება,“ მოშინაურება, მისი ტახტისადმი გაერთგულებაო!“ ამ აზრის განსახორციელებლად მოვლინებულს, ცნობილს ზუბატოვს, რომელიც განსაკუთრებით მოსკოვში იღვწოდა, პეტერბურგშიაც აღმოუჩნდენ დამხმარეები. ამათ გულმოდგინეობის ნაყოფი იყო ,,ფაბრიკა-ზავოდის რუს მუშათა კრებათ‘‘ წოდებული საზოგადოება, რომელსაც პოლიციამ ხელმძღვანელათ მღვდელი გაპონი დაუნიშნა. ამ ორგანიზაციის დანიშნულება იყო,—მუშები შორს დაეყენებინა მავნე პროპაგანდისაგან.‘‘

მიუხედავათ გაპონის საზოგადოების არა-პროლეტარულ მიმართულებისა, მან აუარებელ მასას მოუყარა თავი. მუშებმა წინ ფართო სამოქმედო ასპარეზი დაინახეს,—და ეს საკმაო იყო, – მოძრაობას სულ დაბალ, აქამომდე უმოქმედო მასსამდის ჩაეწია. მაგრამ, სწორეთ ამაში იყო საზოგადოების დამაარსებელთა სრული დამარცხება დამალული. პოლიციას სურდა,—მუშათა მასსა თვითმპყრობელობის მონა-მორჩილი გაეხადა. მუშათა მასსამ-კი, რაკი ერთი შედგა ის მოქმედების ასპარეზზე,—პოლიცია თვის ეკონომიურ ინტერესებს დაუმორჩილა. პოლიციელ სოციალისტებისათვის ეს მოულოდნელათ ცხრა იანვარს გამოირკვა! ამ ნაირათ, იქ, სადაც სამაგალითო თავგამოდებით ისინი ტახტის ერთგულებას სთესავდენ, მათ მოიმკეს 9 იანვრის რევოლიუციონური ქარიშხალი. უხვად დაღვრილმა სისხლმა ზემოთ ნახსენებ პირველ ლეგალურ მუშათა კავშირებს პოლიციური ქუჟყი გადარეცხა და რევოლიუციონური პროლეტარული სული ჩაუდგა...

ცხრა იანვარი მუშების ფიზიკური დამარცხებაა და პოლიტიკურათ კი ბრწყინვალე გამარჯვება: თვითმპყრობელობის ბოროტ კბილებს ძალა და სიბასრე დააკლდა; წინანდელი ენერგიით და გამძვინვარებით ვეღარა სდევნიდა ის მუშათა კავშირებს. აქედან იწყება ნამდვილი პროფესიონალური მოძრაობა. მაშინ დაარსდა პირველი პროფესიონალური კავშირი—კავშირი ბეჭვდითი საქმის მუშებისა, რომელმაც შემდეგში არა ერთხელ თავი სამაგალითოდ ისახელა. ეს კავშირი ჯერ ოქტომბრის თავისუფლებამდისვე საკმაოთ გამაგრდა და აქტიური ბრძოლის გზაზედ შესდგა. მუშათა მდგომარეობის გამოსაკვლევათ მან გამოიმუშავა შესაკითხი ფურცელი(ОПРОСНЫЙ ЛИСТЪ), წამოაყენა კვირაობით დასვენების მოთხოვნილება, ტარიფის შემოღება,—მან პირველათ მისცა მთელ რუსეთის პროლეტარიატს ოქტომბერში გაფიცვის ნიშანი.

მოხსენების ღირსია აგრეთვე კავშირი კანტორშჩიკებისა და ბუხგალტერების, რომელმაც აგრეთვე დიდი სიმხნევე და აქტიური ბრძოლის უნარი გამოიჩინა.

მაგრამ, 9 იანვრის შემდეგ ხანაში ახალგაზდა კავშირებს იმდენათ აქტიური ბრძოლა არა ჰქონდათ სახეში, რამდენათაც მასსასთან დაკავშირება და შინაგან ორგანიზაციის გამტკიცება. მთელი მათი მეცადინეობა და თავგამოდება აქეთ იყო მიმართული. ზემოთ დასახელებულს თითქმის, აშკარა კავშირების გარდა, იანვრის შემდეგ ბევრმა არალეგალურმა პროფესიონალურმა კავშირებმა იწყეს აღმოცენება. ამავე ხანაში პროფესიონალური მოძრაობის მუშაკები შეუდგენ სხვა-და-სხვა კავშირების ადგილობრივ გაერთიანებას. ნელნელა აღმოცენდა გამაერთიანებელი ორგანიზაცია—ცენტრალური ბიურო, რომელიც შესდგა სხვა-და-სხვა კავშირთა წარმომადგენლებისაგან. ცენტრალურ ბიუროს დაარსება უსარგებლო არ გამოდგა: მან კიდევ უფრო მეტი ძალით წასწია წინ პეტერბურგის პროფესიონალური მოძრაობის საქმე. მისი თაოსნობით პროფესიონალურ ორგანიზაციის აზრი შეტანილ იქმნა ლითონის მუშებში, რომლებიც შემდეგ რევოლიუციონურ დღეებში პირველ რიგში იბრძოდენ. ცენტრალური ბიურო პირველათ შეეხო პრაქტიკულათ კითხვას—პარტიული უნდა იყოს თუ ნეიტრალური პროფესიონალური კავშირი? და ამ კითხვაზე ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა: ორგანიზაციულათ ის არც ერთ პარტიისაგან დამოკიდებული არ არის, არა-პარტიულია.

ასეთს მზადებაში იყვენ პროფესიონალური კავშირები, რომ ოქტომბრის გაფიცვამ წამოასწრო.

როგორც მის დაწყებაში, ისე მის წაყვანაში და ბრწყინვალეთ დაგვირგვინებაში პროფესიონალურ კავშირებს უკანასკნელი როლი არ ეჭირათ. როგორც პირველი ნაბიჯი ოქტომბრის საერთო პოლიტიკურ გაფიცვისა უნდა დავასახელოთ სამდღიანი გაფიცვა-დემონსტრაცია, რომელიც პეტერბურგის ბეჭვდითი საქმის მუშათა კავშირმა ითავა მოსკოვში ეკონომიურ მიზნით გაფიცულ ასოთამწყობისადმი თანაგრძნობის გამოსაცხადებლათ. ეს გაფიცვა შესანიშნავი ერთსულოვნობით იქმნა დაწყებული და გათავებული, მან არა-ჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ პეტერბურგზე და კავშირს დიდი სახელი გაუთქვა მუშათა მასსის თვით ჩამორჩენილ წრეებში. აუარებელი მუშები აცხადებდნენ კავშირში ჩაწერის და საწევრო ფულის გადახდის სურვილს, ორი კვირის განმავ-

ლობაში წევრთა რიცხვმა სამჯერ იმატა. ეს არა ეკონომიური გაფიცვა ყველას საუკეთესო გამოხატულებათ ეჩვენა პროლეტარიატის სიმძლავრისა და ზნეობრივი სიმაღლისა. ამ აზრიდან თავისთავათ დაიბადა მუშების თავში საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის აზრი, ამას შეუწყო ხელი აგრეთვე სტუდენტების მოძრაობამ, რომელმაც ახალი აუდიტორია დაუთმო პროფესიონალურ კავშირების როგორც ხელმძღვანელებს, ისე მასსას. დაიწყო განუწყვეტელი კრებები და მიტინგები სხვა.და-სხვა კავშირების უმაღლეს სასწავლებლებს შენობებში. რევოლიუციის შემდეგმა განვითარებამ კიდევ უფრო წინ წასწია პროფესიონალური კავშირები. სოციალდემოკრატიულმა პარტიამ (ესერების პარტიამ მით უფრო ნაკლებათ) ვერ შეიძლო ორგანიზაციული ხელმძღვანელობა მასსისა, თუმცა მისი იდეიური გავლენა და ხელმძღვანელობა უფრო და უფრო მატულობდა; ამან დაბადა მუშათა დეპუტატების საბჭოს წარმოშობის საჭიროება. ამ დიდებულ ორგანიზაციას ძალიან ახლო ნათესაობა ჰქონდა პროფესიონალურ კავშირებთან. პირველი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნახევარს კავშირების წარმომადგენლები შეადგენდნენ. სხვანაირათაც არ იქნებოდა. გუშინდელს აღმოცენებულს საბჭოს ხელთ არ ექნებოდა არავითარი საშუალება თავის დადგენილებათა სისრულეში მოსაყვანათ. პროფესიონალურმა კავშირებმა მათ მისცეს დიდი ხნიდან აწყობილი ორგანიზაციული აპარატი; ეს მეტადრე ბეჭედითი საქმის მუშათა კავშირზე ითქმის. თავისი ენერგიული ბრძოლა ბეჭედის თავისუფლებისათვის მ. დ. საბჭომ მხოლოდ ამ კავშირის დახმარებით გაახორციელა და რუსეთის რევოლიუციის ისტორიაში ბეჭედითი საქმის მუშათა კავშირის ხსენებაც ისეთივე დაუვიწყარი იქნება, როგორც მუშათა დეპუტატების საბჭოსი.

ოქტომბრის გაფიცვის შემდეგ კიდევ ახალი ხანა იწყობა პეტერბურგის პროფესიონალურ მოძრაობაში; — ძველ კავშირებთან ერთად, რომლებიც ფართოვდებიან, მაგრდებიან, იბადება ახლები, რომლებიც ძლივს იტევენ სამოქმედოთ გამოლვიძებულ მასსებს. მარტო იმ თვენახევარში, რომელმაც ოქტომბრის გამარჯვებასა და დეკემბრის დამარცხების შუა გაიარა, 40-მდის ახალი კავშირი დაარსდა. პროფესიონალურმა აგიტაციამ არა ჩვეულებრივათ განზე გაიწია. რა თქმა უნდა, ასე ნაუცბათევათ და ასე მოკლე ხანში მტკიცე და მკვიდრი ორგანიზაციები, რომლებიც ეკონომიური ბრძოლის ხელმძღვანელობას შეიძლებდენ ვერ შეიქმნებოდა; დიდებული საქმე იმ ხანების პროფესიონალურ მოძრაობისა იმაში მდგომარეობდა, რომ ორგანიზაციის და ერთობის საჭიროება ყოველად შეუძლებელ და ყრუ მასსაში იქმნა შეტანილი.

პროფესიონალური აგიტაცია მხოლოდ წესდების გამოგონებაში და გამგეობის არჩევაში არ მდგომარეობდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიტინგებზე მოთხოვნილებათა კოლლექტიურ გამომუშავებას. ეს უფრო გულზე ხვდებოდა უბირ მასსას, რომელიც წესდებების ღირსება-ნაკლულევანებას არ დაგიდევდა. მოთხოვნილებები ორგვარი სახისა სდგებოდა ხოლმე: მაქსიმალური და მინიმალური. მაქსიმალური მოთხოვნილებები ეს ს.-დემოკრატიულ პროგრამის მინიმუმს წარმოადგენდა; მინიმალური იყო ის მოთხოვნილებები, რომელსაც ამა თუ იმ პროფესიის მასსა დღესვე ისახავდა მიზნათ. რასაკვირველია, ყოველთვის აგიტაციით არა თავდებოდა საქმე და ამ მოთხოვნილებებს რევოლიუციონური გზით, თუ ხაზეინებს, რევოლიუციონური ზედგავლენით, ახორციელებდენ.

ამნაირათ, პროფესიონალური მოძრაობა დღითი-დღე იზრდებოდა და ფართოვდებოდა, კავშირები დღითი-დღე მაგრდებოდენ და მასსაში ფესვებს იდგამდენ, რაცა დეკემბრის დამარცხებამ წამოასწრო. დაიწყო შეურალებელი ცელვა ყოველგვარ მუშათა ორგანიზაციებისა; დაპატიმრებამ, დახურვამ, აკლებამ მწყობრი ხასიათი მიიღო და მუხივით დაატყდა თავს ნორჩ პროფესიონალურ კავშირებს; ამამც თუ კრებებს აპატიმრებდენ,— ბიბლიოთეკებს ავეჯეულობას ხევდენ, ამტვრევდენ, ცეცხლს უკიდებდენ. როგორც სწრაფი იყო გაფურჩქვნა, ისევე მომაკვდინებელი იყო რეაქციის სუსხი! დიდ უმეტესობა პროფესიონალურ კავშირებისა დაიშალა, მაგრამ ყველა კი არ მოსპობილა. ოტა გადარჩა, მაგრამ ისინი, რომლებიც მაგარი და უნარიანი გამოდგნენ. ამათ უნდა თავს ედვათ ხომალდის ნამსხვრევების მოგროვება; გადარჩა ცენტრალური ბიუროც, რომელმაც შემდეგში დიდი ამაგი დასდო პროფესიონალურ მოძრაობასა. ამათ იკისრეს ბრძოლა პროფესიონალურ ორგანიზაციის არსებობისათვის ახალ პირობებთან. მთავრობის რეაქციას ბურჟუაზიის რეაქციაც მიემატა. ბურჟუაზია თავისუფლების დღეებში მუშათა უკიდურეს რევოლიუციონურ მოქმედებით დაფეთებული, ახლა ჯავრს ყრილობს იმაზე, ვინც იმდენი შიში აჭამა: ათიათასობით მუშებს ითხოვ ფაბრიკა-ზავოდებიდან. ფიზიკურ დამარცხებას თან მოყვა სიღატაკე, შიმშილი, უსახლკარობა!..

ეს კიდევ უფრო ამძიმებდა პროფესიონალურ კავშირების საქმეს: საჭირო იყო, დაფანტულ წევრების შეკრეფის გარდა, მათ მატერიალურ დახმარებაზედაც ეფიქრათ. ცენტრალური ბიურო ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ პროფესიონალური მოძრაობა ისევ ზრდისაკენ წამართულიყო. როგორც კი შესუსტდა რეაქციის სუსხი, კავშირებმა ისევ წელში გამართვა იწყეს. ბიუროს ხელის შეწყობით მოეწყო სალექციო, იურიდიული და სხვა კომისიები, რომლებიც ეხმარებიან მობრუნებულ კავშირებს. გაიზარდა პროფესიონალური ლიტერატურა. ასე მომზადდა დღევანდელი მდგომარეობა პროფესიონალურ მოძრაობისა.

შიო.

კაპიტალისტები ირაზმებიან.

—

რუსეთში ფაბრიკისა და ზავოდის პატრონებმა შ[illegible] დგინეს კავშირი, რომლის წეს-დებაც ამ ერთი თვის წინათ იქმნა დამტკიცებული. კავშირის მიზანია ორგანიზაციული ბრძოლა გაუწიოს მუშებს მათ ყოველგვარ [illegible]ფიცვებში და უთანხმოებებში ხაზეინებთან. ამ კავშირის მოქმედება ვრცელდება **ათ** ცენტრალურ გუბერნიაზე. [illegible]ვშირის პროგრამაში შედის: 1) წევრთა უზრუნველყოფა დროებითი დახმარებიდან და ხელის-შეწყობა ყოველივე მუშების „უკანონო“ მოთხოვნილებებთან ბრძოლაში, როგორც სამუშაო ქირის გადიდებასთან, სამუშ[illegible]

თბილისი მოიფინება კავშირებით *). ყველაზე ფართე და მკვიდრ ნიადაგზე მოწყობილი კავშირი თბილისის მოსამსახურეებს აქვს. წევრები 2000-მდე იქნება.

ოჯახებში მოსამსახურე ქალთა და ვაჟთა მიმართ!

„ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის!“—ამხანაგებო! აუტანელია საზოგადოთ დაქირავებული მუშის ცხოვრება, მარა ათასჯერ უფრო აუტანელია ოჯახებში მომუშავე მოსამსახურეების ცხოვრება! აქ შენი ხაზეინი, შენი ბატონი მთელი ოჯახია, დიდი და პატარა, ქალი და კაცი! ყველას უნდა ემსახურო, ყველას უნდა შეეგულ! დილის ექვსი საათიდან ღამის ორ საათამდი მოუსვენრათ უნდა იმუშაო! შენ მოკლებული ხარ ელემენტარულ, ადამიანურ უფლებას, რომ, მუშაობის გათავების შემდეგ, სახლში წახვიდე, ცოლშვილი ინახულო. ხაზეინმა მოისურვა,—თვითონ წავიდეს ბაზარში, უნდა გაჰყვე. სანოვაგე იყიდა,—უნდა მოუტანო. ხაზეინმა მოისურვა წავიდეს თეატრში, დასტკბეს, დაამშვიდოს თავისი ცოდვილი სული, წარმოდგენის გათავებამდი „პოდიეზდში“ უნდა უცადო. მოისურვა გაისეირნოს ფაიტონით, „კოზლაზე“ უნდა დაუჯდე, შიგ ჯდომა, მასთან, ან მის პირდაპირ ღმერთმა დაიცვას!—ეს როგორ შეიძლება, ეს სირცხვილია, ეს უზრდელობაა! რას იტყვიან, მაშინ სხვა ბურჟუები!

მოსამსახურე ქალთა მდგომარეობა კიდევ უარესია! ყველა ზემო ჩამოთვლილ და ბევრ სხვაგვარ დამცირებას, აქ ის უნდა დავუმატოთ, რომ მოსამსახურე ქალები, განსაკუთრებით თუ ისინი იმდენათ უბედურები არიან, რომ ლამაზი და ახალგაზდებია (ხაზეინები ხომ უმთავრესათ ასეთებს აქცევენ ყურადღებას მიღების დროს!), ხაზეინის და მისი შვილების პირუტყვულ ჟინის დასაკმაყოფილებელი მსხვერპლი ხდებიან. შემდეგ?... შემდეგ?..... როცა მობეზრდებათ, გადისვრიან მათ ქუჩაზე, როგორც გამოწურწნულ ლიმონს, წლის ყოველ დროს, როცა მოისურვებენ მათ ადგილას უფრო ახლები, ახალგაზდები და ლამაზები აიყვანონ, რომელთაც იგივე ბედი მოელით!... ასეთი ქალებით ივსება საროსკიპოები, ისინი დაძრწიან ქუჩებში და ვაჭრობენ თავის ხორცით... და ყველა ამას დღევანდელი ბურჟუაზიული საზოგადოება გულგრილათ უყურებს!... კიდევაც! უსინდისოები, უსირცხვილონი! მათ, ამ ბურჟუებს, სხვა-და-სხვა ჯურის ხაზეინებს, სახლის პატრონებს, ბინის პატრონებს და სხვა გაიძვერაებთ სინიდისიც არ აწუხებთ, რომ მთელი ეს გროვა ხორცით მოვაჭრე ქალებისა მათი მსხვერპლია! პირუტყვები! მათ სინიდისი გაქრობიათ, მათ ადამიანური სახე დაუკარგავთ!.....

ამხანაგებო, ოჯახებში მომუშავე ქალებო და ვაჟებო! და, მართლაც, თვით სახელწოდება „ოჯახში მოსამსახურე“, არ მოგვაგონებს ჩვენ შინაურ პირუტყვის მსგავს რამეს, შინაურ ცხოველებს! მართლაც, ეს რომ ასე არის! შენ ადამიანათ არა გთვლიან! ყველა რაღაცა ზევიდან დაგყურებს, იმიტომ რომ შენ „მოსამსახურე“ ხარ!

მარა, ყველასაგან ათვალწუნებულ და დაბეჩავებულ მოსამსახურეებშიაც ადამიანური გრძნობა იღვიძებს, შურის-ძიების გრძნობა ანათებს მათ თვალებში! ჩამოდექით, ბატონო ხაზეინებო, ჩამოდექით! გონს მოდით! როგორც ხედავთ, ჩვენს ქუჩაზედაც იქნება დღესასწაული! და ეს დრო არც ისე შორს არის! ჩვენ—ყველა, ოჯახებში მომუშავეები, ვიღვიძებთ, ვერთდებით და ძლევამოსილ და გაცნობიერებულ, მთელი რუსეთის პროლეტარიატის რაზმში ვდგებით. უკანასკნელთან ერთად გიცხადებთ თქვენ: „ასე ცხოვრება შეუძლებელია! ჩვენც გვინდა თავისუფლება, ჩვენც გვინდა ადამიანური ცხოვრება!“ ამის მისაღწევათ-კი, რასაკვირველია, საჭიროა შეერთება მთელი ოჯახებში მომუშავე მოსამსახურეების, ჩვენი დების და ძმების, ერთ ძლევა-მოსილ კავშირში. ჩვენ უკვე ამას მივხვდით, ჩვენ უკვე შეერიგებული ვართ. კარგი ხანია, თფილისის მოსამსახურეთა კავშირი მოგიწოდებს თქვენ: „ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის“. შეევერთდეთ, ამხანაგებო, რადგან შეერთებაშია ძალა და მხოლოდ მასშია ხსნა!..

აი, ჩვენი მინიმალური მოთხოვნილებანი:

§ 1. მიემატოს სამუშაო ქირა:

ვინც ღებულობს თვეში:	ა) 5	მანეთიდან	10 მანეთამდის—	
				მას 30%,
	ბ) 10	„	20	„ 25%
	გ) 20	„	30	„ 20%
	და დ) 30	„	40	„ 10%.

§ 2. მიეცეს მოსამსახურეს დღეში ოთხი საათი თავისუფლება. მიუხედავათ ამისა, ცოლიანს უფლება აქვს, საქმის გათავების შემდეგ, წავიდეს თავის ოჯახში (თუ ასეთი მას ჰყავს თფილისში).

§ 3. მიეცეს მოსამსახურეს ჰიგიენურათ მოწყობილი ბინა.

§ 4. მიეცეს მოსამსახურეს სარეცხის ფული და მასთან აბანოსთვის თვეში ათი შაური.

§ 5. უფასო ექიმობა ადგილის და ჯამაგირის შენახვით.

§ 6. წელიწადში ერთი თვის თავისუფლება ადგილისა და ჯამაგირის შენახვით.

§ 7. როდესაც რომელიმე ოჯახი სხვაგან სახლდება სამუდამოთ ან დროებით—როგორც, მაგალითად, აგარაკზე და სხვ.—ვალდებულია მისცეს თითეულ მოსამსახურეს სამი თვის ჯამაგირი.

§ 8. ხაზეინს არა აქვს უფლება, დაასაქმოს მოსამსახურეს ის, რაც მის პირდაპირ მოვალეობას არ შეადგენს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მოსამსახურეს მოაქვს ბაზრიდან არა უმეტეს ხუთმეტი გირვანქისა.

§ 9. თექვსმეტ წლისაზე ნაკლები მოსამსახურეთ არ მიიღება.

§ 10. მოისპოს მოსამსახურის „კოზლაზე“ ჯდომა. მოისპოს მოსამსახურის თეატრის „პოდიეზდში“ ლოდინი და აგრეთვე ვიზიტების დროსაც.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. თუ წარმოდგენის გათავებამდი მოსამსახურის მოცდა საჭირო იქნება, მაშინ ხაზეინი ვალდებულია, აუღოს მოსამსახურეს თეატრის ბილეთი.

---

*) შემდეგ ნომრებში დავბეჭდავთ დაწვრილებით ცნობებს თითოეულ მომქმედ კავშირზე. რედ.

§ 11. ხაზეინებს და აგრეთვე ვაჟ-მოსამსახურეებსაც სასტიკათ ეკრძალებათ მოსამსახურე ქალების შეურაცხყოფა სიტყვით, თუ მოქმედებით.

§ 12. ზრდილობიანი მოპყრობა ორივეს მხრო, ე. ი. ხაზეინის და მოსამსახურის მხრივ.

§ 13. მოსამსახურის მიღება და დათხოვნა მოსამსახურეთა კავშირის საბჭოს საქმეა.

§ 14. გაფიცვისთვის არავინ იქნას დათხოვნილი და

§ 15. მიეცეს გაფიცულებს გაფიცვის დროს სრული ჯამაგირი.

თბილისის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის საბჭო.

—

თბილისში მცხოვრებ და თბილისში მომუშავე დურგლების მიმართ.

ამხანაგო დურგლებო!

როგორც ადამიანის არსებობისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ჰაერი და უმისოთ არ შეუძლია სიცოცხლე,—აგრეთვე ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს პროფესიონალური კავშირი. თქვენ გამოცდილებით იცით, თუ რა ცუდ პირობებშია ჩვენი სამუშაო საქმე. არც ერთი პროფესიის მუშები არ არიან ისე დაბეჩავებულნი და ადამიანურ ცხოვრებას მოკლებულნი, როგორც ჩვენ დურგლები. აუტანელი და გულის ამაღელვებელია ადამიანის ასეთი უზომოთ ჩაგვრა და ყვლეფა! უფრო განსაკუთრებით ექსპლოატატორებია პოდრიაჩიკები. როგორც იცით, არიან ისეთი ვიგინდარა ვაჟბატონებიც, რომლებიც ირქმევენ პოდრიაჩიკობას და ეჩრებიან სადურგლო საქმეში. ესენი არიან მხატვარი, ხურო, მიკიტანი, ჩინოვნიკი და მღვლებიც-კი. ისედაც დაჩაგრულ ჩვენ ამხანაგებს, უარესათ ყვლეფენ და უმცირებენ შრომის ფასს. მაგალითად, თუ ღირს ოსტატი დღეში—ორმანეთ-ნახევარი, მათი ინტერესია დაიქირაონ მანეთ-ნახევრათ, თუ ორი მანეთი—მანეთათ და თუ მანეთ-ნახევარი ოთხ აბაზათ და კიდევ ნაკლებ. აი, ეს ზემოთ ჩამოთვლილი პირები უფრო გვყვლეფავენ, როგორც ნებავთ და გვიშლიან ხელს ყველა საქმეში.

არ არის ჩვენთვის განსაზღვრული სამუშაო დრო, არც შრომის დაფასება, არც ადამიანური მოპყრობა და არც რაიმე უბედურ შემთხვევაში დახმარება! ერთი სიტყვით, ვინ ჩამოსთვლის, რამდენნაირათ დამცირებულია ჩვენი პიროვნება და შევიწროებულია ჩვენი ცხოვრება!

მაშ, რითი უნდა გავუმჯობესოთ ჩვენი ცხოვრება? რასაკვირველია, შეერთებული და შეგნებული ბრძოლით. დღეს ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ მუშათა სიძლიერე მათ ერთობაშია: როგორც საერთოთ მთელი მუშათა კლასის, აგრეთვე ცალკე ჩვენი პროფესიონალური ინტერესების დარაჯათ ჩვენი შეერთებული ძალა უნდა დაუყენოთ. კარგათ იცით, რომ ბრძოლა ცალკე თითეულს ჩვენგანს უფრო გაუჭირდება, ვიდრე ყველას ერთათ, ერთ პროფესიონალურ კავშირში, ძმურათ შეკავშირებულთ. ამ მიზნით, შევადგინეთ პროფესიონალური კავშირი და უკვე დაიწყო მოქმედება აღმასრულებელმა ბიურომ ღვინობისთვის (ოქტომბერ 1906 წელს). ბიურო მზათ არის ყოველ შემთხვევაში ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს თავის წევრებს შეძლებისა დაგვარათ. ამისათვის, მოგიწოდებთ, ამხანაგებო, შემოუერთდეთ კავშირს, და მით გავაძლიერეთ ის და მივახწიოთ მიზანს.

კავშირს ექნება მხოლოთ პროფესიონალური ხასიათი, ის არ იქნება პარტიული; აქ ყველა მუშა-დურგალს შეუძლია შემოსვლა, განურჩევლათ ეროვნებისა და პარტიულ რწმენისა, როგორც ეწერა ჩვენს წესდებაში, რომელიც გაზეთ „ჩვენი ცხოვრება“-ის № 12—13-ში იყო გამოქვეყნებული.

ტფილისის დურგალთა პროფესიონალური კავშირის ბიურო.

—

ჩვენ მივიღეთ თფილისის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის საბჭოს დადგენილება უმუშევართ დარჩენილ კავშირის წევრების შესახებ:

„ვიღებთ-რა მხედველობაში,—პირველი, რომ უმუშევართ დარჩენილთა რიცხვი, დღევანდელი განსაკუთრებული საზოგადოებრივი პირობებისა გამო, უფრო და უფრო მრავლდება და მათი გაჭირვება ერთი-ორათ იზრდება; მეორე—აუცილებლათ საჭიროა, რაც შეიძლება დაჩქარებით აღმოუჩინოთ დახმარება უმუშევართ და—მესამეც, რომ გაჩნდენ ისეთი პირები, რომლებიც ავრცელებენ უმუშევრათ დარჩენილებში ცრუ, ყალბ აზრს, ვითომც მათი გაჭირვების მიზეზი—ადგილზე მყოფი ამხანაგებია, ვითომც ამათი ბრალია, რომ უმუშევართ დარჩენილები საქმეს ვერ შოულობენ და სხვ.,—თბილისის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის საბჭო—1. ირჩევს უმუშევართა დამხმარე კომისიას, 2. აარსებს უმუშევართათვის ცალკე კასას; კომისიას აირჩევენ აგრეთვე რაიონები და თითო კაცს „იაჩეიკები“. კომისია ეცდება შეკრიბოს ცნობები, თუ რამდენია უმუშევართ დარჩენილები, ვინ რამდენათ საჭიროებს დახმარებას, მოკრებს ფულს ამხანაგებში და თანამგრძნობებში, გახსნის იაფ-ფასიან სასადილოებს და სხვ... ამასთან საბჭო წინადადებას აძლევს ადგილზე მყოფ ამხანაგებს: ვინც ორ წელზე მეტია, რაც მუშაობს, დაუთმონ უმუშევრათ დარჩენილებს ადგილი სამი თვით. საბჭო აგრეთვე მიმართავს ამხანაგებს—გადასდონ უმუშევართა სასარგებლოდ თვეში ერთი დღის ნამუშევარი.

—

რ უ ს ე თ ი.

ცენტრალურ სამრეწველო რაიონის პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენლების საოლქო კონფერენცია. პროფესიონალურ კავშირთა **მოსკოვის ბიურომ,** ორგანიზაციულ კომიტეტთან შეთანხმებით, გადასწყვიტა ამ მოკლე ხანში მოიწვიოს მოსკოვის, ვლადიმირის, კოსტრომის, იაროსლავის, ტვერის, კალუგის, ტულის, სმოლენსკის, რიაზანის და ორლოვის პროფესიონალურ კავშირთა **საოლქო კონფერენცია.** მოსკოვის ცენტრალურმა ბიურომ წერილები დაუგზავნა კავშირებს. ამ წერილებში ის აღნიშნავს, რომ, მართალია, ცალკე პროფესიების თათბირმა კავშირებს სარგებლობა მოუტანა, მაგრამ, სხვადა-სხვა პირობების-გამო, ასეთ თათბირში მონაწილეობას მხოლოდ მსხვილი ცენტრების წარმომადგენლები იღებდა; დღეს-კი პროფესიონალური კავშირებით მოიფინა პროვინციები და სხვა-და-სხვა ქალაქების და დაბების კავშირები საერთო მოძრაობასთან ვერ არიან დაკავშირებულ-

ნი. ამიტომ, ეს დანაკლისი საოლქო კონფერენციამ უნდა შეავსოს. კონფერენციაზე შემდეგ საკითხებს განიხილავენ: საორგანიზაციო კითხვების განხილვა, კავშირებსშუა სწორი დამოკიდებულების დამყარება, საოლქო ბიუროს დაარსება, სრულიად რუსეთის საერთო პროფესიონალურ მუშათა სიეზდი, კავშირების მოწყობა-მოწესრიგება, ერთი პროფესიის კავშირების და საზოგადოთ ყველა კავშირების უსაქმოთ შორის დამოკიდებულება, მწარმოებელთა კავშირები, საფაბრიკო ინსპექციის მოქმედება, ადმინისტრაციის დამოკიდებულება კავშირებთან, ადგილობრივ ცენტრალურ ბიუროების შესახებ, პროფესიონალურ კავშირთა სრულიად რუსეთის სიეზდის ახლო მომავალში დანიშვნა და სხვადასხვა...

—

ჭ. ლოძის ადმინისტრაციის უსასტიკესი უქაზი. ისეთი ერთგული ადმინისტრაცია, როგორიც ქალაქ ლოძში ყოფილა, დედამიწის პირზე არ მოიძებნება თურმე. ლოძი სამრეწველო ქალაქია, იქ მრავლათ არის ფაბრიკა-ზავოდები და, რასაკვირველია, მუშებიც ბევრია. სადაც დაქირავებული მუშები და კაპიტალისტებია, მუდამ უკანასკნელი პირველს ყვლეფს. როცა ასეთი დამოკიდებულებაა მუშებსა და კაპიტალისტებ შუა, ერთი მეორის კმაყოფილი ვერ იქნებიან და შეუწყვეტელი უთანხმოება და ბრძოლა უხდებათ ერთმანერთთან. ეს ამბავი მეტათ გაოცებია ლოძის ადმინისტრაციას—(ალბათ, მთავრიდან თუ არიან მოსულნი!), როგორ თუ აქ ჩხუბობთო და შემდეგი სასტიკი ბრძანება გამოუცია: „უკეთუ რომელიმე ფაბრიკაში, ან ზაოდში მუშებსა და ხაზეინებშუა, ან კერძოთ მუშებ შორის რაიმე უთანხმოება მოხდება, დაუყოვნებლივ დავხურავ იმ ფაბრიკასო. კარგია, რომ მარტო ლოძშია ასეთი ადმინისტრაცია, თორემ, შენი მტერი, სხვაგანაც რომ ასეთი გენიოსი ადმინისტრატორები ყოფილიყვნენ დღეს მთელ რუსეთში ფაბრიკა-ზაოდები დაიკეტებოდა და მრეწველობა სამუდამოთ მოისპობოდა, რადგან არსად არც ერთი ისეთი ფაბრიკა-ზაოდი არ არის, რომ მუშა და კაპიტალისტი ხელი-ხელ გადახვეული და კმაყოფილი იყვენ ერთი მეორის.

—

სახელმწიფო დუმის არჩევნები და მუშათა კავშირები. პროფესიონალური კავშირები ენერგიულათ ემზადებიან არჩევნებისთვის. ადგილობრივ ცენტრალურ ორგანიზაციებს გარდა, თვით კავშირები შეუდგენ არჩევნების წინასწარ კამპანიას, უმთავრესათ ხელოსნები. ყველაზე ბეჯითად შეუდგენ საქმეს სავაჭროებში მოსამსახურეები. ბეჯითად მოქმედებენ აგრეთვე მოსკოვის პროფესიონალური კავშირებიც. პროფესსიონალურ კავშირთა ცენტრალურ ბიუროს უკანასკნელ კრებაზე დუმის არჩევნების საკითხის შესახებ მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც ურჩევენ პროფესიონალურ კავშირებს—მიიღონ ბეჯითი მონაწილეობა დუმის არჩევნებში და ამავე დროს არ შეასუსტონ ეკონომიური ბრძოლა.

ნოქართა კავშირი მოსკოვში უკვე შეუდგა მოქმედებას. უკანასკნელ მრავალრიცხოვან კრებაზე არჩევნების შესახებ შემდეგი რეზოლიუცია მიიღეს: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ახლო მომავალში მოხდება არჩევნები სახელმწიფო დუმაში და სავაჭრო-სამრეწველოებში მოსამსახურეთ შეუძლიათ თავიანთი ხმებით გავლენა იქონიონ მომავალ დუმის შედგენილობაზე და მით შექმნან პიროგები სრულუფლებიან ხალხის წარმომადგენლობის დამყარების, კრება აუცილებლათ საჭიროთ სცნობს—სავაჭრო-სამრეწველოში მოსამსახურეებმა ბეჯითი მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში და მთელი თავისი ძალღონე იხმარონ, ხელი შეუწყონ მუშათა კლასის ინტერესების დამცველები გაიყვანონ“.

—

პროფესიონალური მოძრაობა მოსკოვში. პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლების უკანასკნელ კრებაზე დიდი კამათი გამოიწვია ორგანიზაციულმა კითხვებმა. საქმე იმაშია, რომ უკანასკნელ ხანებში, რაც დრო გადის, უმუშევრობა თან-და-თან ვრცელდება და ეს ძლიერ ხელს უშლის პროფესიონალურ მოძრაობას ეს აშკარათ დამტკიცდა მით, რომ უკანასკნელი გაფიცვები, რთგორც, მაგალითად, მექანიკურ წარმოებაში, რამდენათმე დამარცხებით გათავდა. ამიტომ, კავშირებში დაიბადა სურვილი თავიანთ ორგანიზაციების უკეთ მოწყობის. არა ნაკლებ აღელვებდა მუშებს ,,მუშათა სიეზდის'' შესახებ საკითხი, აგრეთვე დუმის საარჩევნო კამპანია და უმუშევრობა.

პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურმა ბიურომ განსაკუთრებული კრება მოანდომა ამ საკითხს, მაგრამ განსაზღვრულ დასკვნას ვერ დაადგა. ეხლა ეს საკითხი ცალკე კავშირებს გადაეცა განსახილველათ.

—

საარქიტექტურო-საამშენებლო მუშათა კავშირების სრულიად რუსეთის კონფერენცია. ამ დღეებში, საარქიტექტურო-საამშენებლო მუშათა პროფესიონალურ კავშირების სრულიად რუსეთის კონფერენციის მოწვევის შესახებ სხდომა ქონდა ორგანიზაციულ კომისიას. კომისიას მოხსენდა, რომ ქალაქ კიევიდან, ადესიდან, ხარკოვიდან, ვილნოდან, სარატოვიდან, ნ. ნოვგოროდიდან, და ყაზანიდან უკვე მიიღეს ცნობები კონფერენციაში მონაწილეობის მიღების და მის ადრე მოწვევის შესახებ. კომისიამ გადასწყვიტა ნოემბრის დასაწყისში მოიწვიოს კონფერენცია.

საზღვარგარეთ.

ამერიკა. ამერიკელი პროლეტარიატიც ნელ-ნელა ეჩვემდებარება იმ მოძრაობას, რომელმაც ცხადათ იჩინა თავი ინგლისის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების პროლეტარიატში: სოციალისტურ მუშათა პარტიისადმი უნდობარი, თითქმის მტრული თვალით ცქერა და პოლიტიკის აბუჩად აღება ადგილს უთმობს სოციალიზმით დაინტერესებას და პოლიტიკაზე მეტი ყურადღების მიპყრობას. ბურჟუაზია, ვიდრე შეეძლო მუშების იდეიურათ დამორჩილება, ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რათა ეს წამი გვიან დამდგარიყო.—მუშებს რათ გინდათ საკუთარი პოლიტიკური პარტია, პარტიობა, პოლიტიკა ბურჟუაზიის საქმეა! პოლიტიკურ მიზნების წამოყენება—ეს პროლეტარიატის იდეიური გაბურჟუება, – ჩასჩიჩინებდნენ მუშებს ათასგვარი მტერმოყვარეები. საკუთარი პარტიის დაარსებით მუშები ორ არსებულ პოლიტიკურ პარტიებს—რესპუბლიკანურს და

დემოკრატიულს—გადაიკიდებენ: უიმისოთ-კი ეს ორი პარტია ერთიმეორის გაჯიბრებაში—არა ჩემსკენ გადმოვიბირო მუშების თანაგრძნობა, არა ჩემსკენო,—მეტს მოუპოვებენ კანონმდებლობაში მუშათა კლასსო, დასძენდნენ სხვები. როგორც პირველების ვითომდა რევოლიუციონერობა, ისე მეორეების ,,სიფთხილე'' და ,,კეთილგონიერება'' შთაბეჭდილებას ახდენდა მუშებზე და ბურჟუაზიულ პარტიების შემაცქერალსა ხდიდა. მაგრამ, ბურჟუაზიული პარტიები არას დროს არ აჩქარებულან თავის დანაპირების შესრულებაში. არც ერთი თვალსაჩინო მოთხოვნილება მუშაია სინდიკატებისა გაბატონებულ კლასებს თავის ნებით კანონმდებლობის გზით არ დაუკმაყოფილებიათ. ამერიკის მუშები რამდენი ხანია ითხოვენ რვა საათის სამუშაო დღის შესახებ კანონის გადასინჯვას და ახალი კანონის გამოცემას, ჩინელ და სხვა ქვეყნის მუშების შემოსევის და მათი მეტოქეობის წინააღმდეგ ზომების მიღებას, ტრესტების მყიდველის მიმართ ღსაზღვრო ავაზაკობათა ალაგმვას, და სხვა უწესოებათა აცილებას. ამ მოთხოვნილებებს ბურჟუაზიამ და იმისმა დაყენებულმა მთავრობამ ყური არ ათხოვა. ბოლოს მუშებს მოთმინების ძაფი გაუწყდათ და საბრძოლველად დაიწყეს მზადება.

ამერიკის შრომის ფედერაციამ, რომელშიაც მილიონ-ნახევარი წევრი შედის, გამოსცა მანიფესტი. ამ მანიფესტში გატარებულია ის აზრი, რომ ბურჟუაზიას რაც დავენდეთ, ისიც შეცდომა მოგვივიდა, და ამას იქით ჩვენი საქმე ჩვენ თითონ უნდა გავაკეთოთ. ჩვენი საკუთარი წარმომადგენლები უნდა გავგზავნოთ კონგრესზე. ფედერაცია წინააღმდეგია წმინდა მუშური პროგრამისა. მას საჭიროთ მიაჩნია მუშათა კლასი სხვა დაჩაგრულ კლასებსაც გამოესარჩლოს. ის უჩვენებს აგრეთვე იმას, რომ მთავრობა სქელ-ჯიბა მყვლეფელების ხელში არის, რომლებიც არავითარ საზიზღარ საშვალებას არ ერიდებიან თავის ჯიბის ინტერესების დასაკმაყოფილებლათ.

ამ ნაირათ, ფედერაცია პირველათ სდგამს ფეხს პარლამენტალურ ბრძოლის სარბიელზე. ამ ბრძოლის სახელმძღვანელოთ დაარსებულია მუშათა წარმომადგენლების კომიტეტი. ყველა ეს დიდი ნაბიჯია წინ ამერიკის მუშათა მოძრაობაში. ერთი ზღუდე, რომელიც ამართული იყო მასსასა და სოციალისტურ პარტიას შუა, ირღვევა; შეგვიძლიან დარწმუნებით ვსთქვათ, რომ ეს დაახლოვება კიდევ და კიდევ წინ წაიწევს, ამერიკის მუშა მალე შეითვისებს საერთაშორისო სოციალდემოკრატიის ფართო შეხედულებას და სოციალურ რევოლიუციას ერთი დიდი და ძლიერი რაზმი შეემატება

ინგლისი. ინგლისის მუშათა მოძრაობასაც აშკარად ემჩნევა წინსვლის უტყუარი ნიშნები, მუშათა კავშირების ბურჟუაზიული ლიბერალობა ნელ-ნელა ადგილს უთმობს პროლეტარულ რევოლიუციონურ სულს. ბრძოლა მეტი კაპეიკისათვის აღარ არის ერთად ერთი მრწამსი ინგლისელ ტრედუნიონისტისა; მან ნელ-ნელა უფრო შორს და ფართოდ დაიწყო მიმოხედვა. მისი პროგრამიდან იდევნება ძველი უყურადღებობა პოლიტიკური ბრძოლისადმი; პირველი ცდა პარლამენტში გამოსვლისა უფრო არწმუნებს ახალი გზის სისწორეს.

„პოლიტიკურ მოქმედებას" წინათაც ეწეოდა ინგლისის მუშები. ამისათვის მუშათა პროფესიონალურ კავშირები ირჩევდნენ ხოლმე სპეციალურ კომიტეტს. ამ კომიტეტის მოვალეობა იყო პარლამენტის ლიბერალურ წევრებთან ერბინათ და მათთვის დახმარება ეთხოვნათ, იმათი საქმე კარგათ იყო, თუ რომელიმე ბურჟუა მინისტრი ინახულებდა, კარგ გულს აჩვენებდა და შველას დაპირდებოდა. ამას ერქვა პოლიტიკური მოქმედება! მაგრამ დროება შეიცვალა. მუშებმა იგრძნეს, თუ რამდენი დამცირებაა ლიბერალებთან ტანტალში და ლიქინში და თავის საკუთარი პოლიტიკური პარტია და პარლამენტარული ფრაქცია დაიაარსეს.

ეს სულიერი გადახალისება ინგლისელი მუშებისა ცხადათ დაეტყო ტრედიუნიონების უკანასკნელ კონგრესს, რომელიც ერთი თვის წინათ ლივერპულში მოხდა. იქ ახალი აზრი ტრიალებდა, ახალი უფრო თამამი სიტყვა ისმოდა. კონგრესი მით დაიწყო, რომ რუსეთის მამაც მებრძოლ ხალხს თანაგრძნობა გამოუცხადეს და ამგვარი თანაგრძნობის რეზოლიუცია მიიღეს:

,,დიდი ბრიტანიის და ირლანდიის შეკავშირებულ მუშათა წარმომადგენლების კონგრესი მხურვალე თანაგრძნობას უცხადებს რუსეთის ხალხს მის ბრძოლაში პოლიტიკურ და ეკონომიურ თავისუფლებისათვის''.

როდესაც ერთმა ორატორმა ამ რეზოლიუციის გამოსთქვა, არ შეგვიძლიან თანაუგრძნოთ იქ იმ ბრძოლის საშვალებათ, რომლებსაც რუსეთის რევოლიუციონერები ხმარობენ—ბომბების სროლასა და ხოცვასო,—კონგრესმა არ „თანაუგრძნო" ასეთ სიტყვებს. კონგრესმა დაადგინა: ტრედუნიონებ შორის მოიკრიფოს ფული რუსეთის რევოლიუციონურ მუშების სასარგებლოთ.

ეპვი არ არის, რუსეთის პროლეტარიატის რევოლიუციონური ბრძოლა პოლიტიკურათ და იდეიურათ ჩამორჩენილ ინგლისელ მუშებსაც არევოლიუციონერებს, ეპვი არ არის, რუსეთის რევოლიუცია კიდევ წინ წაიწევს და ტრედუნიონების გარევოლიუციონერებასაც წინ წასწევს.

პირველ მაისის დღესასწაულის შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „იღებს, რა მხედველობაში, რომ პირველ მაისის დღესასწაული საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესთა გამომხატველი დემონსტრაციაა, კონგრესი მოუწოდებს ყველა შეკავშირებულ მუშებს ყველა სხვა ქვეყნის მუშებთან ერთად—სადაც კი შეიძლება, მუშათა ინტერესების უვნებელათ—გაფიცვით აღნიშნონ პირველი მაისი რვასაათიანი სამუშაო დღის, პროლეტარიატის საერთო ინტერესების და საერთაშორისო მშვიდობიანობის სასარგებლოთ". ამ რეზოლიუციის მიღებაც იმის მაჩვენებელია, რომ ინგლისის მუშის თავში ძველი ვიწრო შეხედულობები ჰქრება და პროლეტარიატის საერთაშორისო სოციალისტურ მსოფლიო მხედველობას უთმობს ადგილს. კონგრესზე დაესწრო 491 დელეგატი, რომლებიც 1,544,000 შეკავშირებულ მუშის წარმომადგენელია. დელეგატებში 30 მუშა დეპუტატი ერია, რომლებიც ამ წლის დამდეგს ინგლისის პარლამენტში არჩეულ იქმნენ.

—

საფრანგეთი. საფრანგეთის პროლეტარიატს აქნობამდის არა ჰქონია ერთი მთლიანი ორგანიზაცია; ის და-

ნაწილებულია რამდენიმე ზოგ დიდ, ზოგ პატარა ორგანიზაციებათ, რომლებ შორისაც ან ცივი დამოკიდებულება ან ცხარე ბრძოლა იყო გამართული. ესეთი ძალების დაქუცმაცება, რასაკვირველია, სასიკეთო არ არის პროლეტარული საქმისათვის; ფრანგი მუშები დიდი ხანია გრძნობენ გაერთიანების საჭიროებას და კიდეც შეუდგნენ მის განხორციელებას; ბევრი მეცადინეობის შემდეგ, როგორც იქმნა, მშვიდობიანათ და მორიგებით გათავდა სოციალისტურ ფრაქციებ შორის განხეთქილება. დღეს საფრანგეთში არსებობს ერთ სოციალისტური პოლიტიკური პარტია. მაგრამ საქმე მაინც არ გათავებულა; პროლეტარიატი კიდევ გაყოფილია, ერთი მხრივ, სოციალისტურ პარტიასა და, მეორე მხრივ, შრომის საერთო კონფედერაციის შუა. ერთმანეთ შორის თავგამოდებული ბრძოლა ნელ-ნელა დალაგებას იწყებს და მის მაგივრათ დაახლოვების სურვილი ორივე ბანაკში ნელ-ნელა ფეხს იკიდებს. უკანასკნელ დროს პარტიამ მეტი თანაგრძნობა დაიმსახურა პროლეტარიატისაგან.—ამას ხელი შეუწყო მისმა გაერთიანებამ და უკანასკნელ არჩევნებზე გამარჯვებამ, მეორე მხრივ; სინდიკალიზმმა პროლეტარიატს ცოტა არ იყო, იმედები გაუცრუა თვისი პარლამენტარიზმის უარყოფით. მუშები ნელ-ნელა რწმუნდებიან, რომ მხოლოდ ეკონომიური ბრძოლა კანონმდებლობის დაუხმარებლათ არა კმარა.

დღეს, ამნაირათ, თვით ცხოვრებამ წამოაყენა კითხვა პარტიის და პროფესიონალურ ორგანიზაციის დაახლოვებაზე, და, როგორც ერთის, ისე მეორეს წევრები მის მხურვალე განხილვაში არიან,—როგორ, რა პირობებზე უნდა მოხდეს ეს დაახლოვება? სრული შეერთება, ერთმანეთში გათქვეფა აზრათ არავის არა აქვს.—ეს, ყველას აზრით, მეტი თუ არა, ერთისაც და მეორისაც დადამბლავება იქნება. მაგრამ, საჭიროა, თუ არა, პარტიასა და პროფესიონალურ ორგანიზაციის შუა რამოდენათმე შეთანხმებული მოქმედება? და თუ საჭიროა, რანაირათ შეიძლება მისი განხორციელება?

მოგიყვანთ პარტიის წარმომადგენლის სოციალისტ. რეველენის აზრს. პროფესიონალური კავშირი და სოციალისტური პარტია ერთმანეთს არ უარჰყოფენ, არამედ ერთმანეთს ავსებენ. ფორმით ისინი ორნია, შინაარსით ერთნი: პოლიტიკური ბრძოლა, თუ ის ეკონომიურ ორგანიზაციაზე არ არის დამყარებული, სუსტი და უნაყოფოა მეორე მხრივ, ვერც პროფესიონალური ბრძოლა მოიტანს რაიმე სახარბიელო ნაყოფს, თუ კანონმდებლობაზე არ დაემყარება.

პოლიტიკურ და ეკონომიურ ბრძოლის შესათანხმებლათ შეიძლება ან მუდმივი კომიტეტი შეთანხმებისა დაარსდეს ან დროებითი დელეგაციები შეიქმნას. მაგრამ, ვიდრე ეს აზრი განხორციელდებოდეს, საჭიროა, პარტიასა და პროფესიონალურ ორგანიზაციის შორის პირადი უნია, - პირადი მეგობრობა დამყარდეს და განმტკიცდეს. ვიდრე ასეთი მეგობრული განწყობილება არ შექმნილა, უსარგებლო და მავნებელიც არის იურიდიულ პირობების დაყენება.

ცხოვრებაც ამ გზით გადასჭრის კითხვას. თავისდათავად, ბუნებრივი განვითარებით პარტია და სინდიკატები დაახლოვდებიან და მათ მოქმედებაში უფრო და უფრო მეტი შეთანხმება იქმნება შეტანილი. ესეთია სოც. რეველენის და მასთან ერთად პარტიის უმეტესობის აზრი.

ცხოვრებაც ნამდვილად ამართლებს რეველენის აზრს. საქსოვ მრეწველობის მუშათა ფედერაციის ეროვნულმა კონგრესმა თითქმის ერთხმათ საჭიროთ სცნო პარტიასთან დაახლოვება. იგივე კითხვა უნდა განეხილა ქ. ლიმონჟში პარტიის კონგრესს. სინდიკატის საუკეთესო წარმომადგენლებმა ამ ბოლო დროს სოციალისტურ ორგანოებში წერა დაიწყეს. ესეც ხელახალი ნიშანია იმისი, რომ დაახლოვებას ნიადაგი უმზადდება.

სტატისტიკა.

—

გაზეთ „მუშათა კავშირს შემდეგი სტატისტიკური ცნობები მოყავს მოსკოვის მუშათა პროფესიონალურ კავშირების შესახებ: ყველაზე ფართე ორგანიზაცია **ლითონის ქარხნების მუშებს** ქონია. მათ კავშირში 4,400 წევრი ირიცხება, საწევრო ფული 1,200 მანეთზე მეტი შესდის თვეში;— ეს კავშირი ყველაზე მეტ დახმარებას უწევს უსაქმოთ დარჩენილ მუშებს; **სახლის ამშენებელ მუშების** კავშირში 1,072 წევრი შედის; ამ კავშირის მთავარი მოქმედება გაფიცვის ხელმძღვანელობისკენ არის მიმართული. **მკერვალთა კავშირში** 2000 წევრი შედის. **ტყავის ქარხნების მუშების კავშირში—300, ლენტების მკეთებელ მუშების—250, აფთიაქის მაღაზიის და საწყობებში მოსამსახურეების—100, შინა მოსამსახურეების**—200. დაწვრილებით ცნობები არ არის: სამრეცხლოების, თამბაქოს და გილზების ფაბრიკების, ტეხნიკების, ელეკტრო-ტეხნიკების, პარიკმახერების, მეჩექმების, ქალაქის დაბალ მოსამსახურეების, საკანდიტროების და სხვა მომუშავეთა კავშირების შესახებ.

ლიტვის და პოლშის ს-დ მუშათა პროფესიონალური კავშირები. როგორც ამ ხანათ კავშირის-მიერ გამოცემულ ანგარიშიდან ჩანს, პარტიას მრეწველობის თხუთმეტ სხვა-და-სხვა დარგში ქონია კავშირები. სულ კავშირების წევრები-12000-ს აღემატება. კავშირებში მომუშავე გამოცდილი პირები ძალიან ნაკლებათ არის, ამიტომ კავშირებს გადუწყვეტიათ,—მოაწყონ სპეციალური სკოლები პროფესიონალურ მოძრაობის შესასწავლათ. საქმეს უკვე შესდგომიან; ამ სკოლებში ასწავლიან ყველაფერს, რაც კი პროფესიონალურ მოძრაობას შეეხება, როგორც რუსეთში, ისე დასავლეთ ევროპაში.

მცირე შენიშვნა „პატარა შენიშვნაზე".

მუშა ასალო ძალიან დაუეჭვიანებია იმ ფაქტს, რომ, ორგანიზაციური კომისიის აზრით, პროფესიონალური კავშირების ცენტრს უნდა დაერქვას „პროფესიონალური კავშირების მუშათა დეპუტატების საბჭო" (იხ. „ტალღა" № 20).

„სასურველია თუ არა,—კითხულობს მუშა ასალო,—რომ თბილისის პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენელთა დაწესებულებას დავარქვათ მუშათა დეპუტატების საბჭო? სასურველია თუ არა უპარტიო მუშათა დეპუტატების საბჭოს დაარსება თბილისში, თბილისის

მუშებისთვის? მე ვამბობ: არასოდეს! სასურველი კი არა, მავნებელიც კი იქნება ეს; რატომ?.. იმიტომ, რომ თუ თბილისში საბჭო დაარსდა, ყველა მუშები ამ უპარტიო მუშათა დეპუტატების საბჭოს მიმართავენ... პარტიას კი მიატოვებენ, ამითი უპარტიო მუშათა დეპუტ. საბჭო ძირს გამოუთხრის პოლიტიკურ პარტიას... მაშინ მუშებისთვის საჭირო აღარ იქნება ს.-დემოკრატია''... მართალია, პეტერბურგში და სხვაგან მუშათა დეპუტატების საბჭოები არსებობდა. მაგრამ ეს იმიტომ, რომ იქ ს.-დემოკრატია, როგორც შედარებით სუსტი, სარგებლობდა საბჭოებით თავისი გავლენის გასავრცელებლათ. ,,სულ სხვაა აქ, კავკასიაში და კერძოთ თბილისში; აქ მუშები თითქმის ყველანი პარტიის წევრები არიან, გარდა ერთი მუჭა პატრიოტებისა. ამიტომ აქ მუშათა პარტიისთვის უპარტიო მუშათა საბჭო სასარგებლო კი არა, მავნებელიც იქნება''.

მაშ, როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ,,პარტია არ მიატოვონ მუშებმა'', რომ „პოლიტიკურ პარტიას ძირი არ გამოეთხაროს“,—რომ სოც.-დემოკრატია მეტ ბარგათ არ გადაიქცეს?

მ. ასალოს აზრით, ეს უბედურება რომ არ დაგვემართოს, ამისთვის საჭიროა პროფესიონალური კავშირების ცენტრს „კავშირთა კავშირი დაერქვას“, და არა „პროფესიონალურ კავშირთა მუშათა დეპუტატების საბჭო“. ასე სჭრის კითხვას მ. ასალო

თურმე ნუ იტყვით, სოციალდემოკრატია რომ არ დაიღუპოს, ამისთვის საჭიროა სახელი შეუცვალოთ პროფ. კავშირების ცენტრს, სოციალდემოკრატიას თურმე სახელწოდება იხსნის, წინააღმდეგ შემთხვევაში პარტიას ძირი გამოეთხრება!

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მ. ასალოს ტყუილათ შეშინებია. საქმე იმაშია, რომ აქ არავითარი სოციალდემოკრატია არ იღუპება და ვერც დაიღუპება, არავითარ მუშათა პარტიას არავითარი ძირი არ ეთხრება და ვერც გამოეთხრება; ს.-დემოკრატიული პარტია ეგრე უბრალოთ არც აშენებულა და არც დაინგრევა, სახელწოდების შეცვლა ვერც იხსნის და ვერც დაღუპავს მას -- თაგვი ლომს ვერა შობს. საქმე მხოლოთ იმაშია, რომ მ. ასალო რიგიანათ არ ჩაკვირვებია საქმეს.

ჯერ ერთი, რომ წესდების პროექტში პროფესიონალური კავშირების პროფესიონალურ ცენტრზეა ლაპარაკი, და არა პოლიტიკურ ცენტრზე. რა ერთობა აქვს ამ შემთხვევაში პროფესიონალურ ცენტრს, როგორიცაა, მაგალითად, პროფესიონალურ კავშირთა მუშათა დეპუტატების საბჭო“, პოლიტიკურ ცენტრთან, როგორიც იყო, მაგალითად, პეტერბურგის „მუშათა დეპუტატების საბჭო“? საიდან სადაო?! ცხადია, მ. ასალოს ეს ორი სხვა-და-სხვა-ნაირი ორგანიზაცია ერთმანეთში არევია, რაც, რა თქმა უნდა, საქმეს ვერ გამოარკვევს.

შემდეგ, საოცარია: თუ „თბილისში მუშები თითქმის ყველა პარტიის წევრია“, როგორც ამას მ. ასალო გვეუბნება, მაშ რიღასი ეშინიან მას, მაშ რაღათ ამბობს, რომ თუ პროფ. კავშირების ცენტრს სახელს არ გამოუცვლით, პარტიის წევრები „პარტიას მიატოვებენ“ და „სოც.-დემოკრატია საჭირო აღარ იქნება მათთვის“? ნუ თუ ამაზე მეტად არა სწამს მ. ასალოს ჩვენი პარტიის წევრების სოციალდემოკრატიული სიმაგრე? ან იქნება მას პარტიის წევრები უხასიათო ბარიშნები ჰგონია, რომლებიც, მცირე „მიზეზის“ გამო, ერთი „პარტიიდან“ მეორე „პარტიაში“ „გაიგულავებენ“ ხოლმე. ჩვენ არ ვიცით, რა საბუთი აქვს მ. ასალოს, რომ ასეთ შეურაცხყოფას აყენებს ს.-დემ. პარტიის წევრებს!

მეორე მხრივ, თავისთავათ ცხადია, რომ თბილისში ყველა მუშებს და, თუ გინდათ, „თითქმის ყველა მუშებს“ პარტიის წევრებს არ უძახიან: თბილისში 18—20 ათასამდე მუშაა და პარტიის წევრები-კი ექვსი ათასიც ძლივს არის.

თბილისის ყველა მებრძოლი მუშებისთვის პროფესიონალური კავშირები საჭიროა, რომლებსაც თავიანთი ცენტრი ექნებათ არჩეული; ხოლო თბილისის სოციალდემოკრატი მუშებისთვის პარტიული ორგანიზაციებია საჭირო, რომლებსაც აგრეთვე თავიანთი ცენტრი ეყოლებათ. რას დავარქმევთ პროფესიონალური კავშირების ცენტრს, „კავშირთა კავშირს“, თუ „პროფესიონ. კავშირთა მუშათა დეპუტატების საბჭოს“, — ეს საქმეს არსებითათ არაფერს არ უმატებს, და, არ ვიცით, როგორ მოახერხა მ. ასალომ ნემსის წვერზე კოშკის აშენება.

ვას ექნება ხელში რევოლიუციონური გამოსვლის დროს პოლიტიკური ხელმძღვანელობა? რა თქმა უნდა, იმას, ვინც სათავეში უდგია პროლეტარიატის კლასთა ბრძოლას, ე. ი. სოც.-დემოკრატიას. ვისაც ამაში ეჭვი შეაქვს, მას არ სწამს სოც.-დემოკრატია! თვით იმ პეტერბურგშიც-კი, სადაც ოქტომბერ—ნოემბერ—დეკემბერში პარტიას 4000 წევრი ძლივს მოეპოვებოდა და მთელი მუშები-კი 300000 უდრიდა, თვით იმ პეტერბურგშიაც-კი სოც.-დემოკრატია ხელმძღვანელობდა პოლიტიკურ ბრძოლას მუშათა დეპუტატების არსებობის დროს. განა საჭიროა ამის დამტკიცება, რომ თბილისში უფრო კარგა წავა სოც.-დემოკრატიის საქმე, იმ თბილისში, სადაც პარტიის წევრები აქაური პროლეტარიატის თითქმის მესამე ნაწილს შეადგენს?

დიახ, მ. ასალო კარგა ვერ ჩაკვირვებია ფაქტებს და საქმე სულ ამაშია.

რაც შეეხება პროფეს. კავშირების დეპუტატების არჩევნებს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ, რაც უფრო სავსებით იქნება გატარებული დემოკრატიზმი, მით უფრო კარგია. ამიტომ არის, რომ, ჩვენი აზრით, სასურველია, რამდენათაც კი შეიძლება, პირდაპირი არჩევნები იყვეს და არა სართულებიანი მ. ასალომ-კი ამის წინააღმდეგ ვერაფერი საბუთი ვერა თქვა-რა.

კამისიის წევრი.

რედაქტორ-გამომცემელი **დ. გიგიბერია.**

ექიმი ე. მ. ჩიქოვანი

იღებს ყოველ-დღე 12—2 საათ.—ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სახლი № 17.

ელექტრონით მბეჭდავი „შრომა“ ამხ.—სა, მიხეილის ქ. № 65.